

2020 წლის ახალ გამოწვევად იქცა ვირუსი სახელად COVID-19 (კორონა ვირუსი), რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობა. მან დარტყმა მიაყენა არამარტო ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, არამედ ეკონომიკას, ბიზნესს და ზოგადად ადამიანის უფლებებს რამაც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი შედეგები გამოიწვია.

გარდა იმისა, რომ ადამიანს მუდმივად აქვს შიშის შეგრძნება ვირუსის გავრცელებისა და ყველანაირ ზომებს იღებენ, რათა თავიდან აიცილონ დაინფიცირება, მათ შორის კარანტინი,საწარმოების დახურვა სახლში ჯდომა, ამასანავე უჩნდებათ შეკითხვები :

1. შეიძლება ჩაითვალოს თუ არა აღნიშნული მდგომარეობა ფორს მაჟორად?

„ფორს-მაჟორული გარემოებები წარმოადგენენ ისეთ საგანგებო და შეუქცევად გარემოებებს, როგორც არის სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი, ეპიდემია, გაფიცვა, სამხედრო მოქმედებები, საქონლის (მომსახურების) ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა(ემბარგო) და სხვა“. წინამდებარე დეფინიციიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთ ფორს-მაჟორულ გარემოებად მიჩნეულია ეპიდემია. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში გვაქვს ეპიდემიური მოვლენები, შეზღუდულია გარკვეული ორგანიზაციების ფუნქციონირება, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ შეჩერებულია და ამ შეზღუდვებიდან და აკრძალვებიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახეზე გვაქვს ფორს-მაჟორული ვითარება. თუმცა, ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს აბსოლუტურად ყველა შემთხვევაზე ვრცელდება და ვალდებულებების შესრულებისგან თავი უნდა შევიკავოთ ან ბოროტად გამოვიყენოთ არსებული ვითარება ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით.

2. რა ბედი ეწევა შრომით ურთიერთობებს?

ზოგ ორგანიზაციას, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, გაუმართლათ, რადგან სახლებიდან მუშაობით მნიშვნელოვან ზიანს არ იღებს კომპანია და დასაქმებულსაც აქვს საშუალება მუშაობის გაგრძელებისა და ანაზღაურების მღების. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ისეთი კომპანიებიც, რომელთა საქმიანობაც საერთოდ შეჩერდა (კაზინოები, საცხოვრებელი, სავაჭრო ცენტრები და ა.შ.) . რა ხდება ამ შემთხვევაში? საქართველოს შრომის კოდექსი არ არეგულირებს ფორს-მაჟორული მდგომარეობის დროს მხარეთა შორის ურთიერთობას, აღნიშნული დამოკიდებულია მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე. მაგრამ, თუ შრომით ხელშეკრულებასში არ არის განხილული ფორს-მაჟორული მდგომარეობა, ამ შემთხვევაში, კანონმდებლობა დამსაქმებელს და დასაქმებულს აძლევს საშუალებას მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულება შეჩერდეს, თუ შეწყდეს. რა სხვაობაა ხელშეკრულების შეჩერებასა და შეწყვეტას შორის. საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, **„შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის**

შეწყვეტას.“ რომელიც ასევე მოიცავს ანაზღაურებად და ანაზღაურების გარეშე შვებულებას. საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, „1. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით. 2. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.“ შვებულება - სწორედ ამ ხერხს მიმართა დამსაქმებელთა უმრავლესობამ. რა საკვირველია, მსგავსი გადაწყვეტილება ხელსაყრელია როგორც დასაქმებულისთვის, რადგან ის არ კარგავს სამუშაო ადგილს და ზოგ შემთხვევაში იღებს ანაზღაურებასაც კი (ანაზღაურებადი შვებულება), ასევე დამსაქმებლისათვისაც, რადგან მას არ მოუწევს კომპენსაციის ანაზღაურება, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

რა საკვირველია, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე.

3. შესაძლოა თუ არა COVID-19 გახდეს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველი?

როგორც წესი, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უწყვეტად მიმდინარეობს, თუმცა, კანონი ითვალისწინებს მოთხოვნის წარდგენის შემაფერხებელ გარემოებებს, რომელთა არსებობა ხანდაზმულობის ვადის დენას აჩერებს. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს, თუ სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა.

აღნიშნულ შემთხვევაშიც, მხარე ვალდებულია დაადასტუროს რომ COVID-19-ისგან გამომდინარე მოვლენა არის ისეთი დაუძლეველი ძალა, რის გამოც მხარემ ვერ შეძლო სარჩელის წარდგენა. ასეთის დადასტურების შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შესაძლოა შეჩერდეს დაუძლეველი ძალის წარმოშობიდან მის დამთავრებამდე.

ადმინისტრაციული წარმოების ვადის აღდგენა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს, როგორც კანონით ისე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადის აღდგენის შესაძლებლობას; თუ მხარემ გაუშვა კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა, ასეთი ვადა აღდგება იმ შემთხვევაში, თუ ვადა გაშვებულია არაბრალეულად, დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. მოცემულ შემთხვევაში, მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ ვადის გაშვების მიზეზი იყო COVID-19. მხარემ გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობით უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს დაუძლეველი ძალის გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. ასეთ

განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ დაუძლეველი ძალის არსებობას.

საპროცესო ვადების აღდგენა/გაგრძელება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს კანონით პირდაპირ დადგენილ სსსამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებს. სსსამართლოს თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით შეუძლია გააგრძელოს სსსამართლოს მიერ დანიშნული ვადა. გაგრძელება ეხება იმ ვადას, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა. სსსამართლოს შეუძლია აღადგინოს გაშვებული ვადა, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაშიც, მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ სსსამართლოს მიერ დანიშნული ვადა გაშვებული იქნა უშუალოდ COVID-19-ის გავლენით. სსსამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

4. შეიძლება თუ არა შეიცვალოს უკვე დადებული ხელშეკრულების პირობები?

გარდა შრომითი ურთიერთობისა, ყოველდღიურად ფიზიკური და იურიდიული პირები იღებენ ვალდებულებას ერთმანეთის წინაშე ნასყიდობა, იჯარა, ნარდობა და ა.შ. იდება ზეპირი თუ წერილობითი ხელშეკრულებები, სადაც მხარეები თანხმდებიან გარკვეულ პირობებზე, მაგრამ რა ხდება ამ შემთხვევაში, როდესაც ეპიდემიამ შეცვალა მხარეების, თუნდაც, ფინანსური მდგომარეობა? საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი ითვალისწინებს, ხელშეკრულების დადების განმაპირობებელი გარემოებების ცვლილების შემთხვევაში, მხარის მიერ ხელშეკრულების ამ შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების მოთხოვნას. შესაბამისად, თუ კი Covid19 მნიშვნელოვნად ამძიმებს თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, თქვენ შესაძლოა, მოითხოვოთ ხელშეკრულების პირობების გადახედვა. ამ შემთხვევაში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა მიერ მოლაპარაკების პროცესის სწორად წარმოებას.

უზენაესმა სსსამართლომ დაადგინა კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნა შესაძლოა საფუძვლიანად იქნეს მიჩნეული:

1. შეცვლილმა გარემოებებმა უნდა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების უკიდურესი დამძიმება;
2. გარემოება აშკარად უნდა შეიცვალოს ხელშეკრულების დადების შემდეგ;
3. გარემოებების შეცვლის გონივრულად გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს შესაძლებელი არ უნდა იყოს, ანუ შეცვლილი გარემოებები არ უნდა შედიოდეს დაზარალებული მხარის კონტროლის სფეროში;

4. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გათვალისწინებული გარემოებების შეცვლის რისკის დაზარალებული მხარისათვის დაკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო პირობა მოქმედებს და 398-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია;

5. ხელშეკრულების შესრულების გართულება გამოწვეული უნდა იყოს სწორედ აშკარად შეცვლილ გარემოებათა გამო, ანუ არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

5. ინფორმაცია სანოტარო ბიუროებისა და იუსტიციის სახლის სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებით

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობის 23 მარტის დადგენილების საფუძველზე, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 30 მარტიდან დაიხურა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სანოტარო ბიურო.

თუმცა, იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მოქალაქეებმა შეძლონ სანოტარო სერვისის მიღება, 1 აპრილიდან:

თბილისში მოეწყო დროებითი სანოტარო ბიუროები. მოქალაქეებს ნოტარიუსთან მისვლა ორ მისამართზე შეეძლებათ: საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1) და თბილისის იუსტიციის სახლთან მდებარე ქორწინების სახლში (სანაპიროს ქუჩა N2).

ამ სივრცეებში სრულად იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები, რათა საფრთხე არ შეექმნას ნოტარიუსებისა და სერვისის მისაღებად მისული მოქალაქეების ჯანმრთელობას.

საგანგებო ვითარებისა და კარანტინის პერიოდში შეუფერხებლად იმუშავენ ნოტარიუსთა პალატის ცხელი ხაზი (2 206 776; 2 206 777), მოქალაქეებს შეუფერხებლად შეეძლებათ, აგრეთვე ნოტარიუსისაგან სამართლებრივი კონსულტაციის მიღება დისტანციურად; ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

ოდნავ განსხვავებული ვითარებაა იუსტიციის სახლის სამუშაო გრაფიკთან და პირობებთან დაკავშირებით.

იუსტიციის სახლი გადავიდა ელექტრონულ მომსახურებაზე და მომსახურების შეკვეთა შესაძლებელია ბმულებზე <https://sda.gov.ge/?lang=en> და <https://www.my.gov.ge/ka-ge/services/10> . მზა საბუთების მიღება ან საბუთების ჩაბარება შეიძლება საფოსტო მომსახურებით.